სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება № 01-06-02/24

ქ. თბილისი

22 ივლისი 2020

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული ქონების საინვესტიციო პირობით პრივატიზების მიზნით მესაკუთრისათვის დაბრუნების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 30 ივნისის №01-05-04/98 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2020 წლის 22 ივლისის №01-06-02/07 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. საინვესტიციო პირობით პრივატიზების მიზნით, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული (ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი) ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზ. №60-ში (ნაკვ. 03/023) მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული №1-№8 შენობა-ნაგებობები (საკადასტრო კოდი №01.14.11.003.023) დაუბრუნდეს მესაკუთრეს;

2. დადგენილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირობითი პრივატიზების პირობები შეიცვალოს უნივერსიტეტის ინტერესების გათვალისწინებით. პრივატიზაციის შედეგად მიღებული თანხა სრულად მოხმარდეს უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას: კერძოდ, ჰიდროტექნიკის ლაბორატორიის ინფრასტრუქტურის სრულყოფასა და ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტისა და ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის შენობა-ნაგებობების აშენებას, რომელიც უნდა განთავსდეს უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებულ ქ. თბილისში, სოფ. დიღომში ჭანტურიას ქ. N1 მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი - N01.72.14.020.316), ხოლო დარჩენილი თანხა მიმართულ იქნეს უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის;

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე